ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 1

„25“ „სექტემბერი“ 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი **თეონა ხუფენია** და მეორე მხრივ ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიეტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ (შემდგომში საფეხბურთო კლუბი), რომელსაც წარმოადგენს დირექტორი – **ზაზა ფარცვანია** საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1

მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიეტეტის საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“ შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით.

აღნიშნული მიზანი გამოიხატება სასწავლო უნივერსიტეტის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და დარგობრივი კომპონენტების გავლის უზრუნველყოფით.

მუხლი 2

მხარეთა უფლება–მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიეტეტის საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მოცულობისა და დატვირთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლა, თავისი მატერიალურ – ტექნიკური ბაზის, აღჭურვილობის, მასალის და პერსონალის ხელმძღვანელობით, სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოფილი მენტორის/მენტორების (ხელმძღვანელების) მეთვალყურეობის ქვეშ.

2.2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიეტეტის საფეხბურთო კლუბ ,,ოდიში 1919" იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი .3.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მუხლი .4.

სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.

4.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით , შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
რექტორი

თეონა ხუფენია _____

მისამართი.: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14

ა (ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,ოდიში 1919"
დირექტორი

ზაზა ფარცვანია _____

მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №96